მარიკა ჩიკვაიძე

მუსიკა

IX კლასი

მოსწავლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2021 წელს

გამომცემლობა **ინტელექტი**
თბილისი 2021

მარიკა ჩიკვაიძე

მუსიკა

მოსწავლის წიგნი

IX კლასი

რედაქტორი
ირმა ჩინჩალაძე

დამკაბადონებელი
ლიკა სხირტლაძე

გარეკანის დიზაინერი
ილია ხელაია

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №5
225-05-22, 291-22-83, 5(99) 55-66-54
ელფოსტა: info@intelekti.ge ვებგვერდი: www.intelekti.ge

© მარიკა ჩიკვაიძე, 2021.
© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2021.

ISBN 978-9941-31-317-2

სარჩევი

I თავი. მუსიკა სამყაროში და სამყარო მუსიკაში

თემა: მითი და რეალობა მუსიკაში

განსახილველი საკითხი – მსგავსება მითსა და მუსიკის გამომსახველობით ხერხებს შორის

გაკვეთილი 1-10. როგორ გადმოიცემა მითი და რატომ არის
რიტუალი მითის გადმოცემის საუკეთესო ხერხი? 8

განსახილველი საკითხი – მითოლოგიური აზროვნება კინომუსიკაში

გაკვეთილი 11-16. მითი კინოფილმ „ნიბელუნგების ბეჭედში“ 21

გაკვეთილი 17-19. მითოლოგია XX-XXI საუკუნეების აკადემიურ მუსიკაში 33

გაკვეთილი 20-24. მითოლოგიური თემა და პროგრესული როკი 39

გაკვეთილი 25-30. რა არის რიფი? 46

II თავი. მუსიკა საზოგადოებაში და საზოგადოება მუსიკაში

თემა: სოციალური კატაკლიზმები მუსიკაში

გაკვეთილი 31-35. კატაკლიზმები აკადემიურ მუსიკაში 54

გაკვეთილი 36-40. კატაკლიზმები პოპ მუსიკაში 59

III თავი. მე მუსიკაში და მუსიკა ჩემში

თემა: გმირი და ანტიგმირი მუსიკაში

გაკვეთილი 41-50. გმირი და ანტიგმირი მუსიკაში 66

მუსიკალური ტერმინების ლექსიკონი 77

ინფორმაცია Linux პროგრამის შესახებ: LMMS, ანუ Linux MultiMedia Studio 81

პროგრამის გამოყენების ინსტრუქცია 83

როგორ შევქმნათ SAMPL-ი 85

სახელმძღვანელოს გზამკვლევად ეს
ნიშნები გამოგადგებათ:

მოუსმინეთ მუსიკას

შეასრულეთ დავალება

უპასუხეთ შეკითხვას

ვიდეოდავალება

ცოდნის სკივრი

I თავი
მუსიკა სამყაროში და სამყარო მუსიკაში

თემა: მითი და რეალობა მუსიკაში

ამ თავში:

- როგორ გადმოიცემა მითი?
- რატომ არის რიტუალი მითის გადმოცემის საუკეთესო ხერხი?
- როგორ ემსგავსება ერთმანეთს მუსიკისა და მითის მახასიათებლები?

ცნებები: რიტმული ფიგურაციები, როგორც ნიშანი; მელოდიური ინტონაციები, როგორც ნიშანი; ინტერვალები; მოტივი; მუსიკალური თემა, როგორც ნიშანი; ფრაზა.

1–10 როგორ გადმოიცემა მითი და რატომ არის რიტუალი მითის გადმოცემის საუკეთესო ხერხი?

„ბატონების ხე“.
ნ. ბრაიკაშვილი

მითი არის ერთგვარი წარმოდგენა სამყაროზე და მის შექმნაზე. მასში თავს იჩენს ცხოვრებისეული ფასეულობები – ცხოვრების წესი, მსოფლმხედველობა.

თუკი ლეგენდა არის ზეპირმეტყველების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ლიტერატურას უფრო უკავშირდება, ისევე, როგორც ზღაპარი, მითი წარმოადგენს საკრალურ ტექსტს, რომელიც რიტუალებს დაედო საფუძვლად. ისევე, როგორც მხოლოდ სანოტო ტექსტი არ წარმოადგენს მუსიკას შემსრულებლისა და მსმენელის გარეშე, მითიც განუყოფელია რიტუალისგან. დიახ, რიტუალით ხდება მითის გაცოცხლება. სხვაგვარად, მითი იქცევა ლიტერატურულ ტექსტად.

თუ რა ხერხებით გადმოიცემა მითის აზრი, შინაარსი, რით ემსგავსება გადმოცემის ეს საშუალებები მუსიკის მხატვრულ ხერხებს – ამის გარკვევაში შემდეგი აქტივობები დაგვეხმარება.

„მგელბერიკა“ – ლ. გუდიაშვილი

„ბერიკაობა“ – გ. დოლიძე

ქართული მითოლოგიიდან

წარმართ იბერო-კავკასიელებს სწამდათ, რომ ადამიანი თვითონ კი არ ხდება ავად, არამედ ავადმყოფობას უგზავნის მასზე გამწყრალი ღვთაება ან ავი სული ეძალება. ამიტომ, ხალხური მედიცინის გარდა, ასევე, ხშირად მიმართავდა მაგიურ-რელიგიურ მკურნალობასაც. ფიქრობდა, რომ სამკურნალო საშუალებებს ისეთი ეფექტი არ ექნებოდა, თუ ღვთაებასაც არ მოიმადლიერებდა.

დ. ლუნგრენი

- დააკვირდით ამ ნახატს და ივარაუდეთ, რა არის მასზე გამოსახული? რა არის ხილული?
- რა ფერი დომინირებს ამ ნახატზე?
- როგორ ფიქრობთ, რატომ არის აქ გამოყენებული თეთრი ფერი?
- რა არის ნახატზე უხილავი, რა შეგრძნება დაგეუფლათ?
- ივარაუდეთ, თქვენთვის ნაცნობ რომელ რიტუალზე ვისაუბრებთ?

მოისმინეთ ქართული ხალხური სარიტუალო სიმღერა „ბატონების ნანინა“:

- სიმღერის ტექსტში რა აზრია გადმოცემული?
- როგორ ფიქრობთ, რას ევედრებიან „ბატონებს“ ავადმყოფი ბავშვის ოჯახის წევრები?

ისაუბრეთ სიმღერის მუსიკალურ მახასიათებლებზე:

- ყურადღებით მოისმინეთ და განსაზღვრეთ, რამდენხმიანია სიმღერა „ბატონების ნანინა“?
- გაიხსენეთ ქართული ხალხური სასიმღერო ხმების სახელები (I ხმა –მოძახილი, II ხმა – მთქმელი, III ხმა – ბანი) და დააკვირდით, რომელი ხმა იწყებს სიმღერას?
- რომელი ხმა არის ამათგან გაბმული, ე. წ. ბურდონული?
- სამივე ხმის ერთობლივ ჟღერადობას მუსიკის რომელ გამომსახველობით ხერხს დაუკავშირებდით, ჰარმონიას თუ მელოდიას?
- თქვენი აზრით, რატომ არის სიმღერა ასეთი მშვიდი, რას ემსახურება ეს სიმშვიდე?
- მუსიკის რომელი გამომსახველობითი საშუალება განაპირობებს სიმღერის მშვიდ განწყობას?
- გიფიქრიათ როდისმე, რატომ შეუძლია მუსიკალურ რიტმს ზემოქმედება მოახდინოს ბავშვზე, რატომ შესწევს მას ძალა, გამოიწვიოს საპასუხო რეაქცია და ამგვარად გამართოს დიალოგი? იმსჯელეთ.
- რას მატებს რიტუალს მუსიკის ეს მახასიათებლები და რა გავლენას ახდენს თქვენზე?
- რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეს სიმღერა „ბატონების“ რიტუალის სრულყოფილად განხორციელებაში?
- რამდენად მნიშვნელოვანია სიმღერა ამ რიტუალში? იმსჯელეთ;
- ხომ არ შეგიძლიათ, გაიხსენოთ, როგორი რიტუალი ახლავს „ბატონების“ წესს?

შეგახსენებთ და გთავაზობთ საქართველოში გავრცელებული უძველესი რიტუალის, „ბატონების“, მსვლელობის ეტაპებს:

1. სახადიან ბავშვს ლოგინში ჩააწვენდნენ და საზეიმოდ მორთავდნენ.

2. ავადმყოფის ოთახი ლამაზად მორთული უნდა ყოფილიყო, რადგან ოჯახში მობრძანებულ, ბავშვის სხეულში ჩასახლებულ ბატონებად წოდებულ სულებს, განსაკუთრებული პატივისცემა სჭირდებოდათ. ოთახში წითელ ფარდებს ჰკიდებდნენ და ავადმყოფსაც ამავე ფერის ტანსაცმელს აცმევდნენ;

3. ავადმყოფის სურვილები განუხრელად სრულდებოდა, ვინაიდან მიჩნეული იყო, რომ მისი პირით ღვთაებანი საუბრობდნენ. ფერად ტანსაცმელს იცვამდნენ ისინიც, ვინც ავადმყოფს უვლიდა. მათი სახლი „ბატონებისა“ და მისი დედის დროებით სამყოფელად ქცეულიყო. მათ შესაბამისად დახვედრა და გაცილება სჭირდებოდათ;

ვ. ჯმუხაძე „ბატონები“

4. ავადმყოფის საწოლთან დგამდნენ ტაბლას, რომელზეც ეწყო პური, ტკბილეულობა, ცომისგან დამზადებული შინაური და გარეული ცხოველების ფიგურები. იქვე დგამდნენ მორთულ-მოკაზმულ ჩიჩილაკის მსგავს ტოტს, რომელსაც ბატონების ხე ერქვა. საწოლზე ყრიდნენ იასა და ვარდს. ამ ყვავილების ნახარშს აპკურებდნენ ოთახში, ოჯახის წევრები ცეკვავდნენ და მღეროდნენ იავნანას. ოთახში შეჰყავდათ ცხვარი წითელი ბაფთით, ამ ქმედებებსა და ატრიბუტებში ნათლად ჩანს, რომ რიტუალები ნაყოფიერების ღვთაებისთვის იყო განკუთვნილი, რომელსაც შეეძლო როგორც ავადობის გამოწვევა, ასევე განკურნებაც.

ვინაიდან ქართული ხალხური რიტუალების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალის სიმცირეს განვიცდით, კარგი იქნება თუკი მეგობრებთან ერთად გაითამაშებთ რიტუალს და ზემოთ მითითებულ სიუჟეტურ დეტალებს გააცოცხლებთ. ამისათვის კარგი იქნება, თუკი თქვენ შორის მოიძებნება სიმღერის შემსრულებელი/შემსრულებლები; გაამზადებთ/შექმნით დეკორაციას, გადაიღებთ ვიდეოფირს, შემდეგ კი წარადგენთ ნაცნობი აუდიტორიის წინაშე.

- რა იგრძენით, როდესაც „ბატონების“ რიტუალი შეასრულეთ?
- რიტუალის რომელი დეტალები წარმოადგინეთ?
- რომელ გამომსახველობით ხერხს მიანიჭეთ უპირატესობა რიტუალის გათამაშების დროს?

დროა, დავადგინოთ, თუ რა ფუნქცია შეიძლება შეასრულოს მითსა და რიტუალში თითოეულმა დეტალმა. ჩვენ უკვე შევნიშნეთ, რომ ეს დეტალები რაღაცის მანიშნებელია, ანუ მითში ერთგვარი **ნიშნის/სიმბოლოს** ფუნქციას ატარებს.

დიახ, **ნიშანი/სიმბოლო** მითის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, თუმცა არამხოლოდ მითის. მოისმინეთ სხვადასხვა ხმა და გამოიცანით, რაზე შეიძლება მიგვანიშნებდეს თითოეული. ჩახატეთ თქვენს რვეულებში ოთხი მართკუთხედი (როგორც ეს სახელმძღვანელოშია) და მოსმენილი ხმით ან ბგერით მიღებული ინფორმაცია მონიშნეთ, აღნიშნეთ: ივარაუდეთ, რაზე მიგანიშნებთ ეს ხმები/ბგერები, რას გაგონებთ?

ა) ☐ ბ) ☐ გ) ☐ დ) ☐

როგორც დარწმუნდით, ეს ხმები რაღაცაზე მიანიშნებს. მოდით, პირობით ვუწოდოთ **ხმოვანი ნიშანი ან ხმოვანი სიმბოლო.**

- როგორ ფიქრობთ, მოსმენით შესაძლებელია ამ ხმოვანი ნიშნების შინაარსის გაგება?
- რას დაუკავშირეთ თქვენ მიერ მოსმენილი ხმები/ბგერები?
- გაიხსენეთ, სად გსმენიათ რომელიმე ხმოვანი ნიშანი?
- თქვენი აზრით, რომელ სიტუაციაში შეიძლება ჟღერდეს ხმოვანი ნიშანი, რომელიც გაჟღერდა პირველ ნომრად? ივარაუდეთ, რისი ხმოვანი სიმბოლოა, რას უნდა განასახიერებდეს?
- რა მახასიათებლით გამოარჩევდით ხმოვან ნიშანს, რომელიც გაჟღერდა მეორე ნომრად?
- როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, რომ ხმოვანი ნიშანი (იგივე ხმოვანი სიმბოლო) არაფრით ჰგავდეს, არ შეესაბამებოდეს იმას, რასაც აღნიშნავს? რომელი ასეთი ხმოვანი ნიშანი მოისმინეთ?
- კიდევ ერთხელ ყურადღებით მოისმინეთ ხმოვანი ნიშნები და იმსჯელეთ, რომელ მუსიკალურ ცნებას დაუკავშირებდით, მელოდიას თუ რიტმს? არცერთს? ახსენით თქვენი პასუხი.

ის დეტალები, ის ნიშნები, რომლებიც მითებსა და რიტუალებში გარკვეული ინფორმაციის მიმანიშნებელია, შესაძლებელია, სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით გადმოიცეს – სიმბოლოებით, მიმიკითა და ჟესტით, მოძრაობით, ხმოვანი სიგნალით, ხმით/ბგერით.

არ არის აუცილებელი, რომ, მაგალითად, სიმბოლო ჰგავდეს თავის მნიშვნელობას, ეს მნიშვნელობა შეიძლება იყოს როგორც საგანი, ისე მოვლენა. ნიშნები შესაძლებელია, აღწერდეს ან ჰგავდეს ან პირიქით, არ ჰგავდეს საგანს, რომელზეც ის მიანიშნებს.

რა ტიპის ნიშნები არსებობს?

დააკვირდით ამ ნიშნებს და გამოიცანით, რას შეიძლება ასახავდეს თითოეული. ნიშნების ქვეშ მოთავსებულ უჯრებში ფანქრით ჩაწერეთ:

„1“ – თუკი ის პირდაპირ გამოხატავს იმ საგანს, რომელზეც ის მიანიშნებს;

„2“ – როდესაც ნიშანი არ გამოსახავს საგანს, თუმცა ასოციაციურად უკავშირდება მას;

„3“ – ნიშანი, რომელიც არცერთი წინა მახასიათებლით არ უკავშირდება საგანს, მეტიც – ამ ნიშნის მნიშვნელობა უბრალოდ უნდა იცოდე.

- რამდენ ნიშანს დაუწერეთ ციფრი „3“? ახსენით, რატომ?
- რამდენ ნიშანს დაუწერეთ ციფრი „1“? დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.
- როდესაც ნიშანს უწერდით ციფრს „3“, იგულისხმებოდა, რომ არ იცოდით იმ საგნის მნიშვნელობა, რასაც ეს ნიშანი აღნიშნავს, დაფიქრდით, იქნებ რაიმე ასოციაცია მაინც გაგიჩნდეთ;
- რა ციფრს მიუწერდით ამ ნიშანს?
- შეცვლიდით ციფრს, თუკი გეტყვით, რომ ეს იეროგლიფი ნიშნავს მოცეკვავე წყვილს?

ე. წ. ხმოვანი ნიშნები ამ მახასიათებლებით კლასიფიცირდება და მათ კონკრეტული სახელწოდებაც აქვთ. ნიშანს „1“ უწოდებენ **აიკონს**, ნიშანს „2“ – **ინდექსს**, ხოლო ნიშანს „3“ – **სიმბოლოს.**

მუსიკალური აიკონი	**მუსიკალური ინდექსი**	**მუსიკალური სიმბოლო**
ხმოვანი ნიშანი/ხმოვანი სიმბოლო, რომელიც ხმას ინტონაციურად ჰბაძავს ან გადმოსცემს დამახასიათებელ მოძრაობას.	ხმოვანი ნიშანი/ ხმოვანი სიმბოლო, რომელიც გადმოსცემს ემოციას, ხასიათს, განწყობას.	ხმოვანი ნიშანი/ხმოვანი სიმბოლო, რომელსაც არ გააჩნია საერთო მახასიათებელი იმ საგანთან, რომელზეც ის მიანიშნებს.

დააკვირდით ამ ნიშანს და მოუსმინეთ სამ მუსიკალურ ფრაგმენტს.

1) იმ ფრაგმენტს, რომელიც, თქვენი აზრით, ნიშანზე გამოსახული ცხენისა და მხედრის ინტონაციური მიბაძვა იქნება ან გადმოსცემს დამახასიათებელ მოძრაობას და ა. შ. მიაწერეთ **„აიკ“** (აიკონი);
2) იმ ფრაგმენტს, რომელიც, თქვენი აზრით, ამ გამოსახულებას მხოლოდ ემოციურად უკავშირდება, მიაწერეთ **„ინდ“** (ინდექსი);
3) ხოლო მუსიკალური ფრაგმენტი, რომელიც არანაირი მახასიათებლით არ უკავშირდება გამოსახულებას და მას უბრალოდ ახალ შინაარსს სძენს, მიაწერეთ **„სიმბ“** (სიმბოლო).

ფრაგ. №1	ფრაგ. №2	ფრაგ. №3
_____	_____	_____

სამუშაო რვეულში ჩაწერეთ პასუხები დასმულ კითხვებზე:

- რომელ ფრაგმენტს უწოდეთ აიკონი? მოსმენილი მუსიკალური ფრაგმენტი ამ ნიშნის ინტონაციური მიბაძვა იყო თუ იგი ცხენისთვის დამახასიათებელ მოძრაობას გადმოსცემდა?
- ახსენით, მუსიკის რომელი გამომსახველობითი ხერხებით ხდება აღნიშნულის გადმოცემა (მელოდია, რიტმი თუ ორივე ერთად)?
- რომელი ფრაგმენტი დაუკავშირეთ ამ ნიშანს ემოციურად? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი;
- თქვენ მიერ მოსმენილი სამი ფრაგმენტიდან რომელზე იტყოდით, რომ ეს არის სიმშვიდის, სისპეტაკის, პოზიტიური განცდების მიმნიჭებელი მელოდია? დაასაბუთეთ, რატომ?

- მოისმინეთ მუსიკალური ფრაგმენტი ვიზუალური მინიშნების გარეშე და ივარაუდეთ, მუსიკალური აიკონია, ინდექსია თუ სიმბოლო? ახსენით პასუხი;
- მუსიკის რომელი მხატვრული ხერხებით არის გადმოცემული ეს სახე?
- თქვენი აზრით, რა არის საჭირო იმისათვის, რომ მუსიკალური ფრაგმენტი რაიმე სიმბოლოდ ჩაითვალოს?



კომპლექსური დავალება №1

ვიდეოფრაგმენტზე დაყრდნობით დაწერეთ ესე და მოამზადეთ ვიდეოწარდგენა რიტუალის სიმბოლოების შესახებ. ამისათვის გაეცანით ინფორმაციას, შემდეგ კი შეასრულეთ აქტივობები, რომლებიც დავალების მომზადებაში დაგეხმარებათ:





დამხმარე ინფორმაცია

ინდოეთისა და პაკისტანის სახელმწიფო საზღვარზე სახელმწიფო დროშების დაშვებისა და ყარაულის ცვლის რიტუალი გასული საუკუნის 40-იან წლებში ინდოეთსა და პაკისტანს შორის დაწყებული და დღემდე არსებული კონფლიქტის სიმბოლოდ იქცა.

ყოველი დღის ბოლოს იმართება ხოლმე ასეთი სანახაობა: პაკისტანელები მარშირებენ შავი უნიფორმით, ხოლო ინდოელები – ხაკისფრით, ერთგვარი „ბიბილოებით“ დამშვენებული ქუდებით...

ისტორიკოსების თქმით, თითოეული ჯარისკაცის მოძრაობა ტრადიციული ცეკვებისა თუ რელიგიური რიტუალების ცალკეულ ელემენტს იმეორებს, მაგალითად, მარშირებისას ფეხის მაღლა აწევა და მოწინააღმდეგისთვის ფეხის ქუსლის ჩვენება ბრძოლაში გამოწვევის სიმბოლოა...

აქტივობა I

ნახეთ ფირი და აღწერეთ რიტუალი **„ვაკაპი“.**

- რა არის ამ რიტუალში ხილული?
- დააკვირდით რიტუალის მონაწილეების მიმიკას, ჟესტს, ეს რეალური სცენაა თუ თეატრალიზებული სანახაობა, პერფორმანსი? რატომ ფიქრობთ ასე?
- თქვენი აზრით, რატომ ეწოდა რიტუალს „ვაკაპი“?
- რა განცდას აჩენს მნახველში ეს რიტუალი, რა არის უხილავი?
- მუსიკის რა მახასიათებლები არის წარმოდგენილი ამ რიტუალში (მელოდია, რიტმი)?
- როგორ ფიქრობთ, რიტუალის მუსიკალური კომპონენტი ტრადიციულ მუსიკაში გამოიყენება?
- გარდა მუსიკალური მახასიათებლებისა, კიდევ რა საკვანძო დეტალი შენიშნეთ? დაასახელეთ და ახსენით;
- რას ჰმატებს რიტუალს მუსიკალური და არამუსიკალური მახასიათებლები და რა გავლენა მოახდინა პირადად თქვენზე?
- რიტუალ **„ვაკაპის“** თანმხლები კომპონენტები აიკონია, ინდექსია, თუ სიმბოლო?
- ახსენით, რატომ აღნიშნეთ რიტუალი ამ სიმბოლოთი?

აქტივობა II

მას შემდეგ, რაც დაასრულებთ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას, ჩაწერეთ ვიდეოფირი, სადაც ისაუბრებთ, იმსჯელებთ:

- რით იყო საინტერესო აღნიშნული დავალების შესრულება?
- რა გაიგეთ ახალი? რით იყო საინტერესო აღნიშნული რიტუალი?
- როგორ, რა ნიშნით გამოყავით რიტუალის მახასიათებლები?
- როგორც უკვე აღინიშნა, **ვაკაპის** რიტუალს ისტორიული მოვლენა უდევს საფუძვლად. თქვენი აზრით, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ისტორიული მოვლენა მითად იქცა, რადგანაც მისთვის რიტუალი შეიქმნა? იმსჯელეთ.

კომპლექსური დავალება №2

პროგრამა LMMS-ის დახმარებით შექმენით სარიტუალო კომ-პოზიცია სკანდინავიური მითის, „თორისა და მიდგარდის ორთაბრძოლის“ მიხედვით.

დამხმარე ინფორმაცია:

ოკეანის სიღრმეში მთელ დედამიწას საშინელი გველეშაპი **მიდგარდი** შემოხვეოდა. დიდი ხანია ჭექა-ქუხილის ღმერთს, **თორს,** სამყაროს ამ ურჩხულისგან ხსნა სურდა... მან დახმარებისთვის გოლიათ **გიმირს** მიმართა... იგი გოლიათს სათევზაოდ გაჰყვა...

...ტალღებში მიდგარდის საშინელი თავი გამოჩნდა. თორმა ნემსკავზე ხარის თავი ჩამოაცვა და ანკესი მიდგარდისკენ ისროლა. მიდგრადი ხარის თავს ეძგერა, ანკესზე წამოეგო და ნავის ოკეანის უფსკრულისკენ ჩათრევა დაიწყო. შეშინებულმა გიმირმა ანკესის ბაწარი გადაჭრა და მიდგარდი წყალში ჩაიმალა. „ვერ გამექცევი!“ – მაშინვე იყვირა თორმა და თავისი ურო ესროლა. წყლიდან საშინელი ხმა მოისმა. თორს სისხლიანი ურო უკან დაუბრუნდა. გაბრაზებულმა თორმა, ანკესის ბაწრის გადაჭრის გამო, გიმირს სილა გააწნა.

მოკლა თუ არა თორმა მიდგარდი, არვინ იცის. ბედისწერის ქალღმერთები კი ირწმუნებიან, რომ თორის და მიდგარდის ორთაბრძოლა ჯერ წინ არის. ეს ბრძოლა ორივესთვის საბედისწერო იქნება. ხოლო როდის დადგება ეს დღე, არავის უმხელენ.

აქტივობა I

ზოგადად, რიტუალში ამბავი გმირების დახასიათებებისა და საკვანძო დეტალების მეშვეობით გადმოიცემა. ეს დეტალები სხვადასხვა ხმოვანი ნიშნით გამოისახება.

გთავაზობთ მითის, „თორისა და მიდგარდის ორთაბრძოლის“ გმირების სახელებისა და საკვანძო დეტალების ჩამონათვალს. მასწავლებელი მოგასმენინებთ თითოეულის ხმოვან ნიშანს. შეეცადეთ, შეუსაბამოთ ხმოვანი ნიშანი კონკრეტულ სიუჟეტურ დეტალს.

განსაზღვრეთ, რა ტიპის ხმოვანი ნიშნით გსურთ მათი ასახვა – აიკონით, ინდექსით თუ სიმბოლოთი?

გმირების სახელები და საკვანძო (სიუჟეტური) დეტალები მითიდან „თორისა და მიდგარდის ორთაბრძოლა“	ხმოვანი ნიშანი №	აიკონია? ინდექსია? თუ სიმბოლოა?
თორი		
გოლიათი გიმირი		
გველეშაპი მიდგარდი		
ნიჩბების მოქნევა		
ოკეანე		
ურო		
უროს მოქნევა		
მიდგარდის ღრიალი		
ბედისწერა		

შეასრულეთ აქტივობები, რომლებიც კომპოზიციის შესაქმნელად გარკვეულ საფეხურს, ეტაპს წარმოადგენს.

აქტივობა II

მასწავლებელი მოგაწვდით გამზადებულ ხმოვან ნიშნებს (Sampl-ებს). ეს ის ფრაგმენტები იქნება, რომლებიც პირველ აქტივობაში მოისმინეთ და თქვენი ვარაუდით კონკრეტულ საკვანძო (სიუჟეტურ) დეტალებს ან პერსონჟებს დაუკავშირეთ.

სურვილისამებრ გადაწყვიტეთ, მუსიკის რომელ გამომსახველობით ხერხს გამოიყენებთ (რიტმული ფიგურაცია, ინტონაცია/მოტივი, ინტერვალი, დეკლამაცია, ხმა/ხმაური) შერჩეული დეტალების ნიშნების გადმოსაცემად/გასაფორმებლად;

არ არის აუცილებელი ამ დეტალების კომპოზიციაში დალაგება იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც ის ტექსტში ჩნდება. თქვენ შეგიძლიათ, ეს ხმოვანი ნიშნები დაალაგოთ ისე, როგორც მოგესურვებათ.

აქტივობა III

მოიფიქრეთ, რომელი ხმოვანი დეტალით/ნიშნით შეკრავთ კომპოზიციას პროგრამაში LMMS. ეს დეტალი ყველაზე ხშირად უნდა მეორდებოდეს სხვადასხვა ადგილას ან მუდმივად ჟღერდეს კომპოზიციაში.

აქტივობა IV

მას შემდეგ, რაც შექმნით კომპოზიციას, ჩაწერეთ ვიდეოფირი, სადაც წარადგენთ თქვენს ნაშრომს და ისაუბრებთ, იმსჯელებთ:

- რით იყო საინტერესო აღნიშნული დავალების შესრულება?
- მუსიკის რომელი გამომსახველობითი ხერხი (რიტმული ფიგურაცია, ინტონაცია/მოტივი, ინტერვალი, დეკლამაცია, ხმა/ხმაური) გამოიყენეთ შერჩეული დეტალების ნიშნების გადმოსაცემად/გასაფორმებლად?
- რომელი ხმოვანი დეტალით/ნიშნით შეკარით, გაამთლიანეთ კომპოზიცია?

II თავი

მუსიკა საზოგადოებაში და საზოგადოება მუსიკაში

თემა: სოციალური კატაკლიზმები მუსიკაში

ამ თავში თქვენ გაიგებთ:

- როგორ აისახება მუსიკაში სამყაროში მომხდარი ბუნებრივი და სოციალური კატაკლიზმები.
- როგორ შევარჩიო შესაბამისი რიტმი, ჰარმონია, ფორმა მუსიკისათვის, რომელიც კატაკლიზმით გამოწვეული ემოციების გადმოცემას ემსახურება.

ცნებები: მელოდია, ინტონაცია, ინტერვალი, პუნქტირული რიტმი, ოსტინატო, ფრაზა, მუსიკალური ციტატა.

კატაკლიზმები პოპ მუსიკაში

განვლილ გაკვეთილებზე ჩვენ შემოგთავაზეთ აკადემიური მუსიკის ნიმუშები, სადაც კატაკლიზმების სხვადასხვა სახეობა იყო მუსიკალურად წარმოჩენილი.

მაიკლ ჯექსონი,
„Earth Song“

პოლ მაკარტნი და
სთივ უანდერი,
„Ebony And Ivory“

USA For Africa
„We Are The World“

მოუსმინეთ პოპ მუსიკის ნიმუშებს და ჩაწერეთ ფანქრით აქვე მითითებული კატასტროფის ერთეული შემთხვევები სათანადო უჯრაში.

რასიზმი **სოციალური კატასტროფა** **ეკოლოგიური კატასტროფა**

პოპ მუსიკის ნიმუშები	**კატასტროფის ერთეული შემთხვევები**
მაიკლ ჯექსონი – „Earth Song“	
პოლ მაკარტნი და სთივ უანდერი – „Ebony And Ivory“	
USA For Africa – We Are The World	

- როგორ აღწერდით იმ ფრაგმენტის ემოციურ მუხტს, რომელიც თქვენ კატასტროფის ალეგორიულად გადმომცემ სიმღერად ჩათვალეთ?
- რაში მდგომარეობს ეს ალეგორია? რა ხილულ საგანთან ან მოვლენასთან ასოცირდება ეს სიმღერა?
- რისი ალეგორიაა?
- რომელ კატაკლიზმს დაუკავშირებდით ამ სიმღერას?
- თქვენი აზრით, რომელ სიმღერაში იგრძნობა მოახლოებული კატასტროფის დაძაბული მოლოდინი?
- რა ფსიქოლოგიურ მდგომარეობას გადმოსცემს სიმღერაში **„Earth Song“** გუნდისა და სოლისტის ერთობლივი კულმინაციური ჟღერადობა:

➢ პანიკას;

➢ განრისხებას;

➢ ბრძოლისთვის მზადყოფნას.

- რომელი სიმღერა მოგეჩვენათ ყველაზე დაძაბულად? რატომ?
- თქვენ მოისმინეთ ის ნაწარმოებები, რომლებშიც ძირითადად კატასტროფის დროს/შედეგად დაუფლებული განცდები და ემოციები იყო გადმოცემული, მაგრამ ხომ შესაძლებელია კატასტროფის (სოციალური) პრევენციის გზით მისი დამარცხება, თავიდან აცილება, პოზიტიური შედეგის დადგომა და მუსიკაშიც შესაბამისი ემოციის გადმოცემა? მოსმენილთაგან ამ ნიშნით რომელ კომპოზიციას/კომპოზიციებს გამოარჩევდით? იმსჯელეთ.
- რომელი სიმღერა გიქმნით ჰარმონიული თანაცხოვრებისკენ მოწოდების განწყობას?
- **„Ebony And Ivory“** – თეთრი და შავი ფერის კლავიშებს მუსიკალურ საკრავზე ძალუძთ ჰარმონიული, სასიამოვნო შეგრძნებების გადმომცემი მუსიკის გახმოვანება. თქვენი აზრით, ამ ორ ფერზე გაკეთებული აქცენტი კატასტროფის რომელი სახეობის ალეგორიად შეიძლება ჩაითვალოს?
- რა განწყობისაა სიმღერა, რომელიც თქვენ კატასტროფის შემდეგ დაუფლებული განცდების გადმომცემად ჩათვალეთ, თუმცა ეს განცდები მომავლის მიმართ ოპტიმისტურ დამოკიდებულებას ასახავს?
- ამ მუსიკის რა მახასიათებლების საფუძველზე გამოიტანეთ ეს დასკვნა?

კომპლექსური დავალება №7

დაწერეთ ესე, შემდეგ გააკეთეთ პრეზენტაცია თემაზე:

რა როლს თამაშობს ჟანრობრივი მახასიათებლები მუსიკაში კატაკლიზმით გამოწვეული განცდების ასახვის დროს?

უკვე იცით, რომ კატაკლიზმები (ხშირ შემთხვევაში სოციალური) აისახება მუსიკაში სხვადასხვა სახით, კერძოდ:

ა) კატაკლიზმის გამოვლინების რომელიმე ერთეული შემთხვევის (ზოგ შემთხვევაში) აღწერა;

ბ) კატაკლიზმის მიმართ რეაქციის გამოხატვა;

გ) კატაკლიზმის ალეგორიული სახით წარმოჩენა.

ეს დავალება დაგეხმარებათ უკეთ გაიგოთ, თუ რა როლს თამაშობს ჟანრობრივი მახასიათებლები მუსიკაში კატაკლიზმით გამოწვეული განცდების ასახვის დროს.

აქტივობა I

მოუსმინეთ ფრაგმენტებს სხვადასხვა ჟანრის მუსიკალური ნაწარმოებებიდან. რომელ ჟანრს ან ჟანრის მახასიათებელს გამოიყენებდით კატაკლიზმით გამოწვეული განცდის გადმოსაცემად. შეავსეთ ასეთი ცხრილი:

ჟანრები და მათი მახასიათებლები	კატაკლიზმით გამოწვეული განცდები		
	კატასტროფის დროს დაუფლებული განცდებისა და ემოციების გადმომცემი	კატასტროფის შემდეგ დაუფლებული განცდებისა და ემოციების გადმომცემი	კატასტროფის ალეგორიულად გადმომცემი
გოსპელი (რელიგიური ჰიმნებისა და ხალხური მელოდიების შერწყმის შედეგად შექმნილი ჟანრი)			
რეკვიემი (სამგლოვიარო ორატორიის ერთგვარი სახეობა)			
ხალხური სიმღერა ან მასობრივი სიმღერა (სიმღერა მარტივი მელოდიით, რომელსაც ასრულებს ბევრი მომღერალი)			

აქტივობა II

- ეს მუსიკალური მაგალითები რომელი მახასიათებლის მიხედვით დაუკავშირეთ კატაკლიზმებით გამოწვეულ განცდებს?
- რომელ მუსიკალურ ფრაგმენტში არის გამოყენებული გამღერებული რეჩიტატივი?
- რა შინაარსი ეძლევა ამ გამღერებულ რეჩიტატივს? შეარჩიეთ სწორი პასუხი:
  - მიმნდობი საუბარი;
  - ჩხუბი;
  - ვედრება;
  - გოდება;
  - საყვედური;
  - სხვა.

  ახსენით თქვენი არჩევანი;
- ყველა მუსიკალურ მაგალითში ჟღერს გუნდი. გუნდით შესრულებული მრავალხმიანობა ქმნის განუმეორებელ ჰარმონიას. რა განწყობა შეაქვს/ რა შინაარსს სძენს იგი თითოეულ მუსიკალურ ფრაგმენტს?
- თქვენი აზრით, თავისი განწყობით რომელი მუსიკალური ფრაგმენტი უკავშირდება ყველაზე ნაკლებად კატაკლიზმით გამოწვეულ განცდას?
- როგორ ფიქრობთ, რისი გადმომცემი შეიძლება იყოს ეს მუსიკალური მაგალითი?
- ამ შემთხვევაში რა შინაარსობრივი დატვირთვა ექნებოდა ამ მუსიკალურ მაგალითს?

აქტივობა III

განმეორებით მოისმინეთ სამი მუსიკალური ფრაგმენტი და შეძლებისდაგვარად განსაზღვრეთ, რომელია ამათგან გოსპელი, რეკვიემი და ხალხური სიმღერა.

	გოსპელი	**რეკვიემი**	**ხალხური სიმღერა**
ფრაგმენტი I			
ფრაგმენტი II			
ფრაგმენტი III			

- მუსიკალური შინაარსის, განწყობის, ხასიათისა თუ ემოციური მუხტის მიხედვით რომელ ჟანრთან დააკავშირებდით თითოეულ ფრაგმენტს?
- მუსიკის გამომსახველი ხერხების (მელოდიის, რიტმის, ჰარმონიის, ტემბრის, შემსრულებელთა შემადგენლობის) მიხედვით რომელ ჟანრთან დააკავშირებდით თითოეულ ფრაგმენტს? დააკონკრეტეთ ეს ხერხები.

III თავი

მე მუსიკაში და მუსიკა ჩემში

თემა: გმირი და ანტიგმირი მუსიკაში

ამ თავში გაიგებთ:

- როგორ ქმნიან კომპოზიტორები გმირის თუ ანტიგმირის სახეს მუსიკის საშუალებით.
- როგორ შევარჩიოთ შესაბამისი რიტმი, ჰარმონია, ფორმა მუსიკისთვის გმირის თუ ანტიგმირის სახის შესაქმნელად.
- როგორ შევარჩიოთ სათანადო მუსიკალური ფორმა გმირის თუ ანტიგმირის სახის წარმოსაჩენად?.

დასამუშავებელი ცნებები: მელოდიური ხაზი, მუსიკალური თემა, მელოდიური ინტონაციები, ინტონაციური ფორმულა, რიტმული ოსტინატო, პუნქტირული რიტმი, დისონანსური/კონსონანსური ჰარმონია, ინტერვალი, ტონიკა, სუბდომინანტა, დომინანტა, ტონიკური სამხმოვანება, ქრომატული სვლა, ფაქტურა, რეგისტრი, ტემბრი, დინამიკა.

მოდით, განვაზოგადოთ

- მუსიკალური ენის ელემენტების გამოყენებით რამდენად შექმნა კომპოზიტორმა გმირის პორტრეტი?
- იმსჯელეთ, როგორი გზა განვლო ბეთჰოვენის გმირმა სიმფონიის ოთხივე ნაწილში?
- გაიხსენეთ, გმირის მახასიათებლებიდან, რომელი მიესადაგება ბეთჰოვენის მესამე სიმფონიის გმირს?
- ეთანხმებით აზრს იმის შესახებ, რომ მუსიკის საშუალებით გმირის მხატვრული სახის შექმნა შესაძლებელია რიტმული თუ ჰარმონიული და ასევე სხვა ხერხების გამოყენებით (განავრცეთ, მუსიკალური ენის კიდევ რომელ ელემენტებს იყენებენ კომპოზიტორები)?

ანტიგმირი საოპერო ნაწარმოებში

ახლა გავეცნოთ ქართულ საოპერო რეპერტუარში ანტიგმირის სიძულვილით აღსავსე მუსიკალურ პორტრეტს. ერთ-ერთი ასეთი პერსონაჟი გვხვდება **ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერში“.**



ი. თოიძე –
აბესალომ და ეთერი

წაიკითხეთ ოპერის ლიბრეტოდან სიუჟეტური დეტალები, შემდეგ მოისმინეთ მუსიკალური ფრაგმენტები და შეეცადეთ, დაუკავშიროთ მუსიკა ტექსტს. ვიდრე მოუსმენდეთ, განსაზღვრეთ, რა ჩანს ამ ტექსტში, ოპერის პერსონაჟთაგან რომელია ანტიგმირი? რომელმა დეტალმა მიგანიშნათ ამაზე?

სიუჟეტური დეტალები	ფირი №
ეთერი უფლისწულ აბესალომის ვეზირს, მურმანსაც შეუყვარდა, მაგრამ მას ესმოდა, რომ უფლისწულს მეტოქეობას ვერ გაუწევდა და შურით ანთებულმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ეთერი მისი გამხდარიყო. დახმარებისთვის ეშმაკს მიჰყიდა სული.	
ეთერი უკურნებელი სენით დაავადდა. ჰგოდებს აბესალომი, ჰგოდებს ხალხი. მკურნალობამ ვერ უშველა. ეთერი დედოფლობას ვერ გასწევს. აბესალომი ხალხს მიმართავს: „ვის გინდათ ქალი ეთერი?..“	
ეთერთან დაშორებამ უფლისწული აბესალომი დაასნეულა. იგი გზავნის თავის ვეზირს, მურმანს, ცხრაწყაროზე უკვდავების წყლის მოსატანად.	
დედოფალი ნათელა ეთერს აბესალომის მონახულებას სთხოვს, მაგრამ ეთერი უარზეა – მას აღარ სწამს ფიცის გამტეხისა!.. თუმცა დედოფალი ნათელას თხოვნა გულს ულბობს ეთერს და მზადაა, შეხვდეს სატრფოს, თუკი ეს აბესალომის ტანჯვას შეამსუბუქებს. ხანმოკლე გამოდგა მათი შეხვედრა. დასუსტებული აბესალომი ეთერის მკლავზე კვდება.	

ფრაგმენტები ფილმ-ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“ (რეჟ. ლ. ესაკია)

?

- რომელ სიუჟეტურ დეტალში იკვეთება უარყოფითი პერსონაჟის (ანტიგმირის) მხატვრული სახე?
- ეთერის მოსაპოვებლად მურმანმა ეშმაკს მიჰყიდა თავი – როგორ, რა ხერხებით არის გადმოცემული ეს მუსიკაში:

ა) რომელი სასიმღერო ხმა ასრულებს მურმანის არიას?

ბ) როგორ განწყობას ქმნის ამ პერსონაჟის მუსიკალური დახასიათება?

- თუკი ლიტერათი „**A**“ აღვნიშნავთ მურმანის შინაგან განცდას, წუხილს, „ვწუხვარ, არა ვარ მეც მეფე“, ხოლო ლიტერათი „**B**“ აღვნიშნავთ მურმანის ბოროტ ზრახვებს, როგორ სქემას მიუსადაგებდით ამ პერსონაჟის არიას? მონიშნეთ სწორი პასუხი:

1) შესავალი – **A-B-A;** 2) შესავალი – **A-A-B.**

- როგორ ფიქრობთ, რომელი მუსიკალური ფრაგმენტი ასახავს აბესალომის გოდებას?
- მუსიკის რომელი გამომსახველი ხერხებით არის გადმოცემული ეს დეტალი? – დააკვირდით მელოდიური ხაზის მოძრაობის მიმართულებას, ტექსტს, ინსტრუმენტულ თანხლებას;
- რამდენად დაეთანხმებით მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ერთი შეხედვით დადებით გმირშიც აღმოვაჩინოთ ანტიგმირის ნიშნები და თუ ეთანხმებით, ხომ არ შეგიძლიათ გამოკვეთოთ ოპერის ლიბრეტოში ამგვარი პერსონაჟი? მოძებნეთ ცხრილში ამის დამადასტურებელი სიუჟეტური დეტალი.
- ანტიგმირი ყოველთვის უარყოფით გმირს არ ნიშნავს და მუსიკაში სხვადასხვა მხატვრული საშუალებით მისადმი თანაგრძნობაც შეიძლება იყოს გამოხატული – მოისმინეთ აბესალომის არია და იმსჯელეთ, რამდენად შეესაბამება ეს დებულება ამ პერსონაჟს.

კომპლექსური დავალება №9

დავალების პირობა: ააგეთ კომპოზიციურად ფრანც შუბერტის მე-8 სიმფონიის (პირველი ნაწილის მაგალითზე) მხატვრული გმირის მიერ განვლილი გზა, დაწერეთ ესეი თემაზე: **„როგორ იცვლება გმირი ცხოვრების გამოწვევების მოგერიებისა და განსაცდელის გადალახვის შემდეგ“.** გააკეთეთ პრეზენტაცია წარმოდგენილი აქტივობების მიხედვით.

თქვენ მიერ ასაგები კომპოზიცია შემდეგი ნაწილებისგან უნდა შედგებოდეს:

1. გმირის გაცნობა;
2. გმირის შეჭიდება ცხოვრებასთან;
3. ცხოვრებისეულ გამოწვევებთან ბრძოლა;
4. გმირის ცვლილება.

აქტივობა I

მოისმინეთ ფრაგმენტები არეული თანმიმდევრობით და შეავსეთ ცხრილი. ცხრილის II სვეტში მუსიკით გადმოცემული ემოციის, განწყობის ჩვენეული ინტერპრეტაციებია განთავსებული, რომელიც გმირის მიერ განვლილ გზას აღწერს, I სვეტში ჩაწერეთ მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი (III სვეტს შეავსებთ მომდევნო აქტივობის განხორციელების შემდეგ).

ფრაგმენტი №	მუსიკით გადმოცემული ემოციის, განწყობის ჩვენეული ინტერპრეტაციები (აღწერილობები)	ფრაგმენტი №
	პირველივე ტაქტებიდან იკვეთება გმირის სულიერი ტრაგედია, რომელიც შემდგომში სასოწარკვეთის პათოსად გადაიქცევა.	
	გმირი, ერთი შეხედვით, მშვიდად გამოიყურება, თუმცა შინაგანი დაძაბულობითაა აღსავსე.	
	გმირის თბილი და გულუბრყვილო მოგონებები სავსეა მკვეთრი ემოციებით.	
	გმირი შინაგანად აცნობიერებს თავის შეუსაბამობას გარემომცველ რეალობასთან.	

აქტივობა II

უპასუხეთ კითხვებს:

- რომელ აღწერილობას მიუსადაგეთ ფრაგმენტი დაბალ რეგისტრში გაჟღერებული, თითქოს სიღრმიდან გამოსული ინტონაციების მიხედვით?
- რომელ აღწერილობას მიუსადაგეთ ფრაგმენტი ვიოლინოების მშფოთვარე აკომპანემენტის ფონზე ჰობოისა და კლარნეტის ტემბრით გაჟღერებული ერთი შეხედვით, მშვიდი, მაგრამ შინაგანი დაძაბულობით აღსავსე მელოდიის მიხედვით?
- რომელ აღწერილობას მიუსადაგეთ ფრაგმენტი თბილი მოგონებების გადმომცემი ვალსის მიხედვით?

აქტივობა III

გაეცანით ტექსტებს და მიუსადაგეთ მათ მუსიკალური ფრაგმენტები. კვადრატში ფანქრით ჩაწერეთ მუსიკალური ფირის ნომერი.

ა) დაბალ რეგისტრში ვიოლონჩელოების ტემბრში გაჟღერდება სიმფონიის შესავლის თემა დაჟინებული და უსიხარულო ინტონაციებით, რომლებიც სადღაც სიღრმიდან ჩნდება. ეს თემა სიმფონიაში ლაიტმოტივის როლს ასრულებს და არაერთხელ გამოჩნდება, როგორც მარადიული ცხოვრებისეულ დილემად. ☐

ბ) ვიოლინოების მღელვარე „ჟრუანტელის“ ფონზე მთავარი თემა გაჟღერდება... მელოდია მარტივი და გამომსახველია, მას სევდა ახლავს, თითქოს მშვიდია, თუმცა შინაგანი დაძაბულობით აღსავსე. მელოდიის აკომპანემენტი ქმნის შფოთიანი მოუსვენრობის შეგრძნებას. მუსიკა უფრო და უფრო აქტიურდება და აღწევს Fortissimo-ს. ☐

გ) ეს კი თბილი ვალსია, თითქოს მშვიდობის კუნძული. ვალსის თემა კიდევ უფრო მბრწყინავი ხდება, როდესაც მაღალ რეგისტრში ვიოლინოების ტემბრით გაჟღერდება... ☐

IV ეტაპი – მიუბრუნდით პირველ ეტაპზე განხილულ ცხრილს და III სვეტში სათანადო ტექსტის ლიტერა ჩაწერეთ.

V ეტაპი – წინა აქტივობებზე დაყრდნობით შეავსეთ სქემა. ჩაწერეთ თავისუფალ უჯრებში მუსიკალური ფრაგმენტის ნომერი.



დაალაგეთ მუსიკალური ფრაგმენტები თქვენ მიერ შევსებული სქემის მიხედვით და წარადგინეთ. ამისათვის გამოიყენეთ გეგმა და უპასუხეთ კითხვებს:

1. როგორ წარმოგიდგათ სიმფონიის დასაწყისში გმირის მხატვრული სახე (ისაუბრეთ, მუსიკის გამომსახველ საშუალებებზე – მელოდია, რიტმი, დინამიკა, ტემბრი და სხვა);
2. როგორ იცვლებოდა გმირი?
3. გაიხსენეთ გმირისა და ანტიგმირის მახასიათებლები – შუბერტის სიმფონიაში რომელი მხატვრული სახეა წარმოჩენილი, გმირი თუ ანტიგმირი? იმსჯელეთ, რატომ ფიქრობთ ასე;
4. როგორ ფიქრობთ, ეს გმირი ზოგადსაკაცობრიო იდეის გამარჯვებისთვის იბრძვის, თუ ის პირად განცდებს აცოცხლებს?

- რა დასკვნა გამოიტანეთ ზოგადად ამ თემის შესწავლის დროს, როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია მუსიკის საშუალებით გმირისა და ანტიგმირის სახის შექმნა?